1 დეკემბერი

სამშაბათი
2026

ადვენტის I კვირა [I], ი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

ლკ 10,21

იესო დგას მისიიდან დაბრუნებული სამოცდათორმეტი მოწაფის წინ, რომლებიც თავად მიავლივნა. ისინი უყვებიან საოცრებებს, რაც იხილეს, მაგრამ იესო ხედავს უფრო დიდ, მუდმივ საოცრებას, რომელიც მოიცავს მოწაფეთა ცხოვრებას: მამას უყვარს მცირენი, ისინი, რომლებიც უარყვეს დიდებმა. პატარები იღებენ ღვთაებრივი სიყვარულის საიდუმლოების გამოცხადებებს!

2 დეკემბერი

ოთხშაბათი

2026

ადვენტის I კვირა [I]

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

აიღო ძველი პური ბ თევზები, ძალი ადამიანთა მთ 15,36

განკურნა ავადმყოფები, სანამ ხალხი აქებს ღმერთს, იესო ახორციელებს თავის მოწყალებას: იღებს იმას, რაც აქვთ მოწაფეებს, შვიდ პურს, დაურთავს ნდობით ლოცვას მამისადმი, და ასე აპურებს ყველას, კაცებს, ქალებს და ბავშვებს. ის, რაც აპურებს მოწაფეებს, არის ის, რასაც შეუძლია დააპუროს ყველა. არ უნდა ეძებონ სხვა რამ, არამედ მხოლოდ დაურთონ, იმას რაც აქვთ, ნდობით სავსე ლოცვა.

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

ხუთშაბათი

2026

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუცესი, იეზუიტი მისიონერი, +1552 სანჩოანის კუნძულზე (ჩინეთი), (მ), თ

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

უფალი არის სუკუნო კლდე ეს 26,4

წინასწარმეტყველი გვთავაზობს ამ გამბედავ სურათს, რომელიც შემდეგ იესომ გამოიყენა ერთ-ერთი თავისი სწავლების დასასრულებ-ლად. კლდე, რომელზეც უნდა დაეფუძნოს სახლი, უფრო მეტიც, ქალაქი, სადაც ვიპოვით თავშესაფარს და სიცოცხლეს, არის თავად ღმერთი. ღმერთი არ არის შორს: იესოში იგი დაგვიახლოვდა და მოგვცა თავისი სიტყვა რომ ვიცხოვროთ ყველა უბედურების დასაძ-ლევად.

4 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I], ი

პარასკევი

2026

წმ. იოანე დამასკელი, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +~749 იერუსალიმის მიდამოებში

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

მოგცეთ თქვენი რწმენისაებრ მთ 9,29

ორმა ბრმამ ხმამაღლა იძახა სიტყვები, რომლის კარნახიც მხოლოდ რწმენას შეეძლო: "დავითის ძეო, შეგვიწყალე!" იესომ მოისმინა. ითხოვს მათგან მხოლოდ იმას, რომ გარკვევით გამოთქვან თავიანთი რწმენა. შეეხება მათ უსინათლო თვალებს, და დაურთავს დასტურის სიტყვას. მათი რწმენა არის სიცოცხლის ნამდვილი სინათლე, რომელიც აწვდის სინათლეს თვალებსაც.

5 დეკემბერი

შაბათი

2026

ადვენტის I კვირა [I], ი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35--10,1.6-8

ეს არის გზა, გაიარეთ იგი ეს 30,21

წინასწარმეტყველი პირდება ბედნიერ დღეებს: "აღარ მოგიწევს ტირილი". რა მოხდება? ნახავ შენს მასწავლებელს, რომელიც გასწავლის ჭეშმარიტების გზას, სხეულისა და სულის ნამდვილი კეთილდღეობისთვის. და აჰა იესო, რომელიც იუწყება სასუფევლის სახარებას და კურნავს ყველა ავადმყოფობას. არა მხოლოდ: ის ამზადებს სხვებს, რომ განაგრძონ მისი საქმე საუკუნეებში, და გთხოვს შენც ილოცო, რომ არასდროს მოგვაკლდეს ისინი, ვინც აჩვენებს გასავლელ გზას.

ᲐᲓᲕᲔᲜᲢᲘᲡ II ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔ, «ბ», [II], ი

[წმ. ნიკოლოზი, მირას ეპისკოპოსი, +~350, (მ), თ]

ეს 40,1-5.9-11; ფს 84; 2პეტრ 3,8-14; მარ 1,1-8

ის თქვენ მოგნათლავთ ჩემიჲ სულით მარ 1,8

იოანე ნათლავდა რომ მოემზადებინა გზა სხვისთვის, იმისთვის, ვისაც უნდა მოენათლა წმიდა სულით. იესოს საქმე რომ შედეგიანი იყოს შენში, ყურს დაუგდებ იოანეს, ანუ მის მოწოდებას მოინანიო და შეცვალო ჩვე-ვები. დაიცავ ღმერთის ბრძანებებს, და მაშინ იესოს შეეძლება გადმოღვაროს შენში მამის სიყვარულის სული.

7 დეკემბერი

ორშაბათი
2026

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. ამბროსი, მილანის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +397

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

გაძხნეულდით, ნუ გეშინიათ! ეს 35,4

წინასწარმეტყველი ამზადებს ნიადაგს იესოს მისაღებად. ის იქნება, ვინც აუხელს თვალებს ბრმებს და ყურებს ყრუებს. ამიტომ: გამხნევდი, ნუ გეშინია! დღეს ვხედავთ, როგორ ჩამოუშვებენ მის წინაშე დავრდომილს. მას არ აშინებს დამბლა: ცოდვა დამბლაზე უარესია. მაგრამ ესეც შეიძლება დაიძლიოს, და ძლევს რწმენა, რომელსაც აჩვენებენ ისინი, ვინც ეს დავრდომილი მოიყვანა.

8 დეკემბერი

სამშაბათი
2026

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფეს 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გისაროდენ: მიმთბრაა უფალი ლკ 1,28

პირველი სიტყვა, რომელსაც ანგელოზი მიმართავს მარიამს, არის წინასწარმეტყველთა სიტყვა, რომლებიც ამზადებენ მესიის მიღებას: დაჟინებული მოწოდება სიხარულისკენ. მას უნდა აჩვენოს სამყაროს, რომ ძე, რომელიც მისგან დაიბადება, თუნდაც სირთულეებისა და საფრთხეების მიზეზი იყოს, იქნება სიცოცხლის, მშვიდობის, მუდმივი სიხარულის წყარო. ეს არის სახარება, კარგი ამბავი ყველასთვის. მას არ გაჰკარებია ცოდვა, ამიტომ არა აქვს შეშფოთების, შეშინების მიზეზი.

9 დეკემბერი

ოთხშაბათი

2026

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, რომ მშვიდი ვარ და ქებული ვარ გულით მთ 11,29

წინასწარმეტყველი აცხადებს რომ "ვინც უფალს ესავს, აღიდგენს ძალას და გარბიან შფოთის გარეშე". და აჰა იესო სწორედ ამას გვეუბნება დღეს. იცის რომ დაღლილები ვართ, თუნდაც დაჩაგრულები, დეპრესიაში. გვიხმობს, სწორედ იგია წამალი. ვიქნებით მის ახლოს, და ვისწავლით თავმდაბლობასაც კი, ჩვენი ღმერთისა და მამის დარად.

10 დეკემბერი

ხუთშაბათი
2026

ადვენტის II კვირა [II], ი

ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

ნუ გეშინია, მე შეგეწეოდები ეს 41,13

ადვენტის დრო არის წინასწარმეტყველებათა მოსმენის დრო, რადგან ეს არის მოსავი მოლოდინის დრო. ჩვენ ვიცით რომ უნდა მოვიდეს, სწორედ წინასწარმეტყველთა წყალობით. დღეს ესაია გვიდასტურებს: უფალი მოდის არა დასასჯელად – მიზეზს რა გამოლევდა! – არამედ ჩვენს წამოსაყენებლად. მოგვიტანს სიხარულს ისეთი სიუხვისთვის, რომელსაც ვერც კი წარმოვიდგენთ. სახარება ამ სილამაზესა და სიკეთეს, სიცოცხლის ამ სიუხვეს სახელს არქმევს: ზეციური სასუფეველი!

11 დეკემბერი

პარასკევი
2026

ადვენტის II კვირა [II], ი

წმ. დამას I, პაპი, +384 რომში

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19



წინასწარმეტყველი საყვედურს ეუბნება ხალხს: "რომ მიგექცია ყურადღება..." უბედურებები, რომლებიც გვტანჯავს, თავისით არ მოსულა, არამედ პირველსაწყისმა დაუმორჩილებლობამ გამოიწვია. თუ არ არიან შვილები, ბრალი არ არის ღმერთის, არამედ ცოდვისა, რომელმაც შეაღწია კაცობრიობაში. ველოდებით, მაშასადამე, უფალს რომ მოვისმინოთ: მოგვცემს ძვირფას მითითებებს გამოსასწორებლად.

12 დეკემბერი

შაბათი
2026

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკრესელი, ეპ., წამ., VIს.;
გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი, 1531, ამერიკის კონტინენტების მფარველი

სირაქ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

ელია უკვე მოვიდა მთ 17,12

იესო საუბრობს ელიაზე, ძლიერ და გამბედავ წინასწარმეტყველზე. უკვე მოვიდა და არ აღიარეს! სინამდვილეში იოანე ნათლისმცემელი იყო აღძრული ელიას იგივე წინასწარმეტყველებისა და ჭეშმარიტების სულით. როგორც ყველა წინასწარმეტყველი, ისიც ამზადებდა გზას ღმერთის მესიისთვის. ყურადღებით დავუგდებ ყურს ყოველ გამკიცხველს. გაკიცხვა ნამდვილი სიყვარულის ნიშანია.

13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲐᲓᲕᲔᲜᲢᲘᲡ III ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔ, «ბ», [III], 3

ᲙᲕᲘᲠᲐ 2026

[წმ. ლუცია, ქალწული და წამებული, სირაკუზაში +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგასალი, +502;
წმ. პეტრე კათ., VIს; წმ. სამოელ კათ., V-VIსს]

ეს61,1-2.10-11; ფს: ლკ1,46-50.53-54; 1თეს5,16-24; იო1,6-8.19-28

უნდ ტკბილ-ტკბილნი სინათლისათვის იო 1,8

სახარება წარმოგვიდგენს იოანე ნათლისმცემელს. ხალხს, რომელიც მივიდა მასთან უდაბნოში, ის არ ესაუბრება საკუთარ თავზე, არამედ იესოზე. ესაა ის, ვინც იკავებს მის გონებასა და გულს, ესაა ცოდვილი ადამიანების მხსნელი, რომლებიც წინ უდგანან. ესაა ის, ვინც მისცემს სამყაროს ახალ სინათლეს, იმას რომელიც აჩვენებს ყველაფერს ისე, როგორც ღმერთი ხედავს, ყველაფერს მამის სიყვარულის ნიჭად.

14 დეკემბერი

ორშაბათი
2026

ადვენტის III კვირა [III], ი

წმ. იოანე ჯვრისა, კარმელიტელი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1591 უბედაში (ესპანეთი)

რიცხვ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

იოანეს ნათლისღება ვინ იყო? მთ 21,25

ვინც ეჭვობს მასში, იესო ესაუბრება იოანე ნათლისმცემელზე. თავს როდი იტყუებს: ვინც არ აღიარებს იოანეს, არც მას აღიარებს. ჩვენთვის გაკვეთილია: ვისაც არ უყვარს მარიამი, არ უყვარს იესო სისავსით. ვისაც არ უყვარს ეკლესია, არ უყვარს იესო სისავსით, თუნდაც იფიცებდეს რომ უყვარს: რა სიყვა-რულს აძლევს მას? საკუთარი იდეების სიყვა-რულს, და არა უფლის საქმისა.

15 დეკემბერი

სამშაბათი

2026

ადვენტის III კვირა [III], ი

(2.XII) წმ. ისე წილკნელი, ეპისკოპოსი,VIს.

სოფ 3,1-2.9-13; ფს 33; მთ 21,28-32

შიძღვენ შერნან ლ ესაჟილ მთ 21,29

იესოს უყვარს მაგალითების მოყვანა: ამგვარად ეხმარება მსმენელს თავად მიხვდნენ ღმერთის შესაძლო საყვედურს. ორ ძეს მოუხმობს მამა გაისარჯონ მისთვის, და ეს გარჯა სასარგებლო იქნება მათთვისაც! ამ ორიდან რომელი ასრულებს მამის ნებას? ის ვინც პირდება თუ ის ვინც აკეთებს? ცათა სასუფეველში ბევრი რამ გაგვაოცებს!

16 ოთხშაბათი 2026

დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III], ი

ეს 45,6-8.18.21-25; ფს 84; ლკ 7,19-23

მე არ უფალი, სხვა არავინ არის ეს 45,21

ადამიანები ჩვეულნი არიან ღვთაებად მიიჩნიონ საკუთარი რწმენები ან კომფორტი ან სიამოვნებები. გვჭირდება ეს წინასწარმეტყველება: ერთადერთი უფალი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, არის ის, ვინც გაეცნო აბრაამს, მოსეს, და ბოლოს ჩვენც, იესოს მეშვეობით. იესო არის ერთადერთი, ვინც ასრულებს ღმერთის საქმეებს. ვის აუხელია თვალები ბრმებისთვის და ყურები ყრუებისთვის? არ გინდა მოგატყუონ? მიჰყევი და უსმინე იესოს.

17 დეკემბერი

ხუთშაბათი
2026

შობის ნოვენის დასაწყისი [ს], ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

აბრაამ შობა ისაკი მთ 1,2

ვიწყებთ შობის ცხრადღეულს გვერდით, რომელიც ერთი შეხედვით უცნაურია. არ გაინტერესებს იესოს წინაპრების თაობები? მაგრამ კარგია ვიცოდეთ რომ ის, ღმერთი ჩვენთან, მოდის სწორედ ცოდვილი ადამიანებისგან როგორც ჩვენ, და შესაძლოა უარესებისგან. კარგია ვიცოდეთ რომ მის წინაპრებს შორის არიან ცუდი გზის ქალებიც და უცხოელები. აღარ შეგვრცხვება ჩვენი გენეალოგიური ხის. იესო ნამდვილად გვიხსნის, გვიხსნის ყველაფრისგან.

18 დეკემბერი

პარასკევი
2026

შობის ნოვენა [ს], ი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

ამს ეწოდება სახელად ემანუელი მთ 1,23

ეს არის ანგელოზის სიტყვები, რომლებიც ისმის სიზმარში. ნამდვილია? ეწოდა იესო, და არა ემანუელი. მნიშვნელობით კი იგივეა: ემანუელი ნიშნავს "ღმერთი ჩვენთანა", და იესო ნიშნავს "ღმერთი იხსნის". თუ ღმერთი ჩვენთან არის, ჩვენ დახსნილნი ვართ. თუ დახსნილნი ვართ, ღმერთი ჩვენთან ყოფილა. შევიყვარებთ იესოს როგორც ღმერთს, რომელიც ჩვენთან არის, ყოველთვის!

19 დეკემბერი

შაბათი
2026

შობის ნოვენა [ს], ი

მსაჯ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

შენი ლოცვა შესმენილ იქნა ლკ 1,13

ისესოს გაცნობის გარდა ვეცნობით იმასაც, ვინც მოვლენილია მის წარსადგენად. ვინ? ესაა ადამიანი, რომელიც მოვიდა სამყაროში მშობლების ლოცვების წყალობით, ლოცვები, რომლებიც ღმერთმა შეისმინა, როცა ისინი უკვე აღარ ელოდნენ. მისი დაბადება სიხარულს მისცემს ბევრს, და ეწოდება იოანე, ანუ 'ღმერთის სიკეთე' ან 'ღმერთის სიყვარული'. ლოცვები არასდროს არის უსარგებლო. ღმერთი ითვალისწინებს მათ.

2მეფ 7,1-5.8-12.14-16; ფს 88; რომ 16,25-27; ლკ 1,26-38

მ. შალვა ვარდიძის გახსენება (+1958)

იმეფებს სძალამოდ იაკობის სახლზე ლკ 1,33

დღეს ჩვენი მზერა და ჩვენი ყურადღება მიმართულია მარიამის ძეზე. ჯერ არ არის დაბადებული, მაგრამ არის წარმოდგენილი სიტყვებში, რომელსაც ანგელოზი მიმართავს მომავალ დედას. "იმეფებს სამუდამოდ": ვინ იცის რა შეეძლო გაეგო მარიამს! სამეფო სასახლე? მსახურნი? მცველები ან ჯარისკაცები? მრავალი გაკვირვება ელის ამ მეფის დედას.

21 დეკემბერი

ორშაბათი
2026

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, იეზუიტი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1597 ფრიბურში (შვეიცარია)

ქებ 2,8-14 ან სოფ 3,14-17; ფს 32; ლკ 1,39-45

ისრაელის ძეებო, უფალი შენი სოფ 3,15

წინასწარმეტყველი იყენებს დიდ სიტყვებს, რომლებიც ნატვრას ასხამს ფრთებს. ეს მეფე იქნება სიხარულის მიზეზი, აღმოფხვრის ყველა შიშის მიზეზს. სიხარული, სინამდვილეში, არსებობს თავიდანვე, როცა მარიამი აღწევს ელისაბედის სახლის ზღურბლს. სიხარული, რომელიც შეაღწევს მთელ ცხოვრებაში, მიაღწევს ბავშვს, რომელიც მალე დაიბადება. და ამ ბავშვის სიხარული დედის ბაგესა ხსნის, რათა წარმოთქვას კურთხევის სიტყვები.

22 დეკემბერი

სამშაბათი
2026

შობის ნოვენა [ს], ი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

რომელი სული ადიდებს უფალს ლკ 1,46

მარიამი პასუხობს ელისაბედის კურთხევას, და პასუხობს ღმერთის კურთხევით. ღმერთია მათი და მათი ჯერაც არ დაბადებული პატარების ცხოვრების მთავარი მოქმედი გმირი. ღმერთი დიდია, იმდენად რომ მის სიდიდეს ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ. ჩვენს სულს არ შეუძლია არ გაიხაროს, და ასე მოწმობს იმას, რასაც სიტყვები ვერ გამოხატავენ. გავიმეოროთ მარიამის სიტყვები, თუნდაც აჭარბებდნენ ჩვენი გაგების უნარს.

23 ოთხშაბათი 2026

დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. იოანე კენტელი, ხუცესი,
+1473 კრაკოვში (პოლონეთი)

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

აღთქმის ანგელოზი, აჰა, ის მოდის მალ 3,1

ვინ არის აღთქმის ანგელოზი, რომელიც იჯ-
დება გაწმენდისთვის წყლითა და ცეცხლით?
სახარებიდან ვიცით ვინ არის ეს ანგელოზი,
რომელიც ამზადებს განბანილ და ანთებულ
გულებს რადიკალური მოქცევისთვის. ეს იო-
ანეა, ბავშვი, რომელიც იღებს ახალ სახელს,
სახელს რომელიც შეგვახვედრებს ღმერთს
შიშის გარეშე. მისი სახელი, სინამდვილეში,
ამბობს რომ ის, ვინც უნდა მოვიდეს, არ მოვა
დასასჯელად, არამედ სიყვარულისთვის, და
ასე გაზრდის ადამიანებს თავის შვილებად.

24 დეკემბერი

ხუთშაბათი

2026

შობის ნოვენა [ს], ი

შობის ვიგილია [ს], თ

(11.XII) ყოველნი წმიდანი,
საქართველოში წამებულნი

დილის წირვა, 2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79
საღამოს წირვა, ეს 62,1-5; ფს 88; საქმ 13,16-17.22-25; მთ 1,1-25
ღამის წირვა, ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14

ალეგორია მაცხოვარი ლკ 1,69

ვისმენთ კურთხევას, რომელსაც წარმოთ-
ქვამს ზაქარია, რომელსაც მიეცა რომ გაეღო
პირი დაეჭვებიდან ცხრა თვის თავზე. მისი
ბავშვი არის მოწმობა სხვა ძისთვის, რომე-
ლიც დაიბადება და იქნება კიდევ უფრო მნიშ-
ვნელოვანი: უფრო მეტიც, იქნება მაცხოვარი,
ანუ ღმერთის ხელი, რომელიც შემოდის
ყველას სასიკეთოდ.

25 დეკემბერი

პარასკევი
2026

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

განთიადის წირვა, ეს 62,11-12; ფს 96; ტიტ 3,4-7; ლკ 2,15-20

დღის წირვა, ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

სიტყვა იყო ღმერთთან *იო 1,1*

მახარებელი იოანე გვესაუბრება იესოზე რთული ტერმინებით, ღრმა მნიშვნელობებით. ღვთის სიტყვა არის ის, რომელიც ღმერთს სურს მოვიდეს ჩვენთან. ეს სიტყვა არის მისი გულის მთელი სიყვარული, რომელიც მას სურს გადასცეს ჩვენს გულს. ბავშვი, რომელიც დაიბადა ბეთლემის ბოსელში, არის იგივე სიტყვა, წარმოთქმული ისე, რომ ყველამ, მწყემსებმაც და უცხო მოგვებმაც, შეძლონ მიიღონ და გაიგონ.

26 დეკემბერი

შაბათი
2026

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენი ძაძის სული სუბრობს თქვენში მთ10,20

წმიდა სტეფანეს გული დაკავებული აქვს იესოს. და, მიუხედავად ქვების სეტყვისა, იესო ათქმევინებს მას იმავე სიტყვებს, რაც თავად წარმოთქვა ჯვარზე, იმავე სიყვარულით ადამიანებისადმი, რომელთაც ესაჭიროება ხსნა. ესაა პატიების სიტყვები და სიტყვები, რომლებიც გამოავლენს მის კუთვნილებას: სტეფანე აღარ არის ამა სოფლისა, არამედ მთლიანად ეკუთვნის იესოს!

27 ივნისი 2026

დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ბ», [ს], თ

[წმ. იოანე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], თ]

დაბ 15,1-6; 21,1-3; ფს 104; ებრ 11,8.11-12.17-19; ლკ 2,22-40

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ღვთის ძალი იყო ძასზე ლკ 2,40

დღეს მახარებელი იოანე ხარობს რომ ვზეიმობთ წმიდა ოჯახს, ერთადერთ ნამდვილ ოჯახს, რომელიც ცხოვრობს ღმერთის იგივე სიწმინდეში. ვხედავთ მათ ტაძრად ასვლას, სადაც მათ დახვდებიან მოხუცი და ქვრივი. ისინი ხარობენ ბავშვის ხილვით: ის ბრწყინავს ღმერთის მადლით. მშობლებს, მართლაც, გარემოუცავთ იგი მამისადმი მორჩილი სიყვარულით.

28 დეკემბერი

ორშაბათი
2026

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი , დ, [ს], წ]

1იო 1,5-2,2; ფს 123; მთ 2,13-18

ეგვიპტიდან მოვუწოდე ჩემ ძეს მთ 2,15

ბეთლემელი ბავშვები არიან მოწამეები, მოწმეები, თავიანთი სიკვდილით, ამქვეყნად მოსული დავითის ძისა, ადამიანთა მიმართ ღმერთის სიყვარულისა. მისი ლტოლვა ეგვიპტეში და იქიდან დაბრუნება ასრულებს წერილებს, რომლებიც ასე გვაგებინებენ, რომ მთელი ისტორია ჩვენი ღმერთისა და მამის უსაფრთხო ხელებშია.

29 დეკემბერი

სამშაბათი

2026

შობის მსგეფსის V დღე [ს], თ

წმ. თომას ბეკეტი, კენტერბერის ეპისკოპოსი, წამებული, +1170

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

ვისცა ჰგვესი ძმა უყვარს, რიგება ნათელი 1იო 2,10

იესოს არსებობა სამყაროში რადიკალურად ცვლის მას. ხილული გახდა მამის სიყვარული შვილებისადმი, და ამიტომ შესაძლებელი გახდა სიყვარული ადამიანებს შორის, იმდენად რომ შეიძლება მიიღონ ერთმანეთი ძმებად. სიყვარული აბრწყინებს სინათლით მთელ ქმნილებას.

30 დეკემბერი

ოთხშაბათი
2026

შობის მსგეფსის VI დღე [ს], თ

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ვინც ასრულებს ღმერთის ნებას, რჩება საუკუნოდ 1იო 2,17

სამყარო წარმავალია, რადგან ცხოვრობს
გულისთქმით, და ეს წარმოქმნის სიკვდილს.
ხოლო ვინც ასრულებს ღმერთის ნებას,
შედის მასში, და ამიტომ ხდება საუკუნო,
ცხოვრობს საუკუნოდ. ყური დავუგდოთ, მაშ,
მახარებელს, რომელიც გვმოძღვრავს არ
შევიყვაროთ სამყარო, არც მისი საგნები:
ვერაფერს მოვიგებთ.

31 დეკემბერი

ხუთშაბათი
2026

შობის მსგეფსის VII დღე [ს], თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335 რომში

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

ᲛᲐᲡᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲘᲝ 1,4

წლის ბოლოს ისევ ვისმენთ წმიდა სახარების დასაწყისს. რომ გავიგოთ იგი, ანუ გავითა-ვისოთ, უნდა ვკითხულობდეთ ყოველდღე. ავივსოთ გული ყოველდღიურად თითო სიტყვით: "მასში იყო სიცოცხლე". გვინდა ვიცოცხლოთ? ვეძებოთ ის, იესო, ჩვენთვის ღვთიური სიცოცხლის, მისი სიყვარულის სისავის მოსაცემად მოსული: ვიქნებით მზად დავიწყოთ ახალი წელი, რათა ვიცხოვროთ მასში სიცოცხლით, რომელსაც სიკვდილი არ ეკარება!